ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 10

ქ. ონი 26. 10. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, სონია გუგეშაშვილი, სერგო ლობჯანიძე, ლევან ორდინიძე, ვასილ მეტრეველი, ბიჭიკო კერვალიშვილი, როსტომ ლობჯანიძე, მადლენა მეტრეველი, ნინო გობეჯიშვილი, რევაზ საბანაძე, მერაბ ბიჭაშვილი, გიორგი მეშვილდიშვილი, თორნიკე მეტრეველი, შუქურა ჯაფარიძე, მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ნონა მაისურაძე, შალვა კახეთელიძე, ეკა მაისურაძე, თეიმურაზ ცეცაძე, ანა ბაქრაძე,

არ ესწრებოდნენ: გიორგი მარკოიშვილი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ბიძინა ყიფიანი, ნოდარ ბურდილაძე, ნინო ბერუჩაშვილი, ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი, თამაზ მეტრეველი, თამილა არჩვაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2023 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

4. ონის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ 2022-2023 წლებში გაწეული მუშაობის და არსებული პრობლემების შესახებ.

მომხს. ს. გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხს. ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. თ. ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2023 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია 2023 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია 2023 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ 2022-2023 წლებში გაწეული მუშაობის და არსებული პრობლემების შესახებ.

მომხს. ს. გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ 2022-2023 წლებში გაწეული მუშაობის და არსებული პრობლემების შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ 2022-2023 წლებში გაწეული მუშაობის და არსებული პრობლემების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

ვლ. ბერელიძემ ისაუბრა სოფ. საკაოში, ბასუკაანთ უბანში არსებული, მწყობრიდან გამოსული ხიდის რეაბილიტაციის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ პროექტი გამზადებულია, თუმცა საჭიროა ცვლილების შეტანა არსებულ პროექტში.

მ. მეტრეველმა ისაუბრა სოფ. უწერაში, თოვლისგან დაზიანებული სტადიონის რეაბილიტაციის აუცილებლობაზე.

ს. გუგეშაშვილმა ისაუბრა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისთვის ლიდა გონგაძის სახელის მინიჭების შესახებ და აღნიშნა, რომ მერიას გადაეგზავნა წერილი და ყველა საჭირო მასალა, თუმცა რეაგირება მერიის მხრიდან არ ყოფილა, ესაა საკითხი, რომელიც აუცილებლად დადებითად უნდა გადაწყდეს-განაცხადა მან.

თ. ცეცაძემ ისაუბრა ლიდა გონგაძის პიროვნულ ღირსებებზე, მის ღვაწლსა და დამსახურებაზე ონის ახალგაზრდა თაობების წინაშე.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე